სსიპ ლ. საყვარელიძის დაავადებათა კონტროლისა
და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

კახეთის გზატკეცილი #99, თბილისი, 0198, საქართველო
ტელ: (+995 322 116 001); ელ.ფოსტა: ncdc@ncdc.ge; Web:www.ncdc.ge

დაბა სურამის გენერალური გეგმისა და ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის პროექტზე

საექსპერტო კომისიის სხდომის ოქმი

შეხვედრის დეტალები:	
შეხვედრის ადგილი	დისტანციურად (ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით)
შეხვედრის თარიღი	13 ნოემბერი, 2020 წელი
შეხვედრის დაწყების დრო	11:00 სთ
შეხვედრის დასრულების დრო	12:00 სთ
სხდომის ორგანიზატორი	სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (დკსჯეც), გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტი
სხდომის მონაწილეები	საექსპერტო კომისიის წევრები

საექსპერტო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

<u>კომისიის წევრები:</u>

ნანა გაბრიაძე - დკსჯეც, გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);

ნანა მებონია - დკსჯეც, ქრონიკული დაავადებების და ტრავმატიზმის სამმართველოს უფროსი (კომისიის წევრი);

ქეთევან ღამბაშიძე -დკსჯეც, მონაცემთა ანალიზის და წარდგენის სამმართველოს უფროსი (კომისიის წევრი);

თამარ ქაშიბაძე - გარემოს ჯანმთელობის დეპარტამენტი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (კომისიის მდივანი);

ქეთევან ზარიძე - გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (კომისიის წევრი);

ნინო დედაბრიშვილი - გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (კომისიის წევრი);

ლევან ბაიდოშვილი - ალიმენტური, ნოზოკომიური და პარაზიტული დაავადებების სამმართველოს უფროსი (კომისიის წევრი);

სსიპ ლ. საყვარელიძის დაავადებათა კონტროლისა
და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
კახეთის გზატკეცილი #99, თბილისი, 0198, საქართველო
ტელ: (+995 322 116 001); ელ.ფოსტა: ncdc@ncdc.ge; Web:www.ncdc.ge

საექსპერტო კომისიის სხდომის მოწვევის საფუძველი:
საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მუხლი 27. „სგშ-ის ანგარიშის განხილვა და რეკომენდაციების გაცემა"; "გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბრის N 420 დადაგენილების მე-6 მუხლის მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების შესრულების შესაბამისად „სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება #06-210/ო (26.10.2020წ.) - სურამის გენერალური გეგმის სგშ- ის ანგარიშისა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის განხილვისა და დასკვნის მომზადების მიზნით, კომისიის მოწვევს შესახებ.

სხდომის განხილვის მიზანი:

1. დაბა სურამის გენერალური გეგმისა და ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის განხილვის საფუძველზე ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასება
2. პროექტის განაშენიანების გეგმის განხორციელების ეტაპისთვის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესახებ დასკვნის მომზადება და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა

განხილულ იქნა შემდეგი დოკუმენტები

1. დამგეგმავის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია:
   ა) დაბა სურამის გენერალური გეგმისა და ცენტრალური ნაწილის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება
   ბ) დაბა სურამის გენერალური გეგმისა და ცენტრალური ნაწილის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების არატექნიკური რეზიუმე
   გ) დაბა სურამის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილი და ზონირების ნაწილი რუკებით.
2. დკსჯეც მიერ გაცემული დაბა სურამის გენერალური გეგმისა და ცენტრალური ნაწილის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნა.

სხდომის მსვლელობა:

მიმდინარე წლის 13 ნოემბერს 11:00 საათიდან 12:00 საათის ჩათვლით, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, დაბა სურამის გენერალური გეგმის სგშ-ის ანგარიშისა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის განხილვის მიზნით და საბოლოო დასკვნისა და რეკომენდაციების გაცემის მიზნით, კომისიის შეხვედრა გაიმართა დისტანციურად, ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით.

სხდომა გახსნა ნანა გაბრიაძემ და კომისიის წევრებს გააცნო დაბა სურამის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარისა და განაშენიანების გეგმაში მოცემული ინფორმაცია, ისევე როგორც ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციები სკოპინგის ეტაპზე.

შეხვედრაზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

სსიპ ლ. საყვარელიძის დაავადებათა კონტროლისა
და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
კახეთის გზატკეცილი #99, თბილისი, 0198, საქართველო
ტელ: (+995 322 116 001); ელ.ფოსტა: ncdc@ncdc.ge; Web:www.ncdc.ge

- **ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების საკითხი**

ატმოსფერულ ჰაერთან დაკავშირებით სკოპინგის ეტაპზე ცენტრის მიერ გაცემული რეომენდაციები შესრულებულია და პროექტი ითვალისწინებს შემარბილებელი ღონისძიებების სათანადოდ გატარებას, რაც ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკებს მინიმუმამდე ამცირებს.

თუმცა, თ.ქაშიბაძის განმარტებით, დოკუმენტში კვლავ არ არის გაანალიზებული რა ტიპის საწვავი გამოიყენება შინამეურნეობებში საკვების მომზადებისა და გათბობის მიზნით, რაც დაბა სურამში შენობისშიდა ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებულ სურათს შექმნიდა. გამომდინარე იქედან, რომ შესაძლებელია მოხდეს პროექტით გათვალისწინებული სანატორიუმებისა და პიონერთა ბანაკების აღდგენა, ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაცია „მწვანე ქალაქის" და ენერგოეფექტური პრინციპების საბინაო სექტორში და სხვა შენობა ნაგებობების მშენებლობის პროცესში დანერგვასთან დაკავშირებით, კვლავ რჩება რეკომენდაციად.

კომისიის წევრები ერთხმად ეთანხმებიან პროექტის თანახმად დაგეგმილი რეკრეაციული და გამწვანებული ტერიტორიების მოწყობას დაბა სურამში, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს არსებულ ატმოსფერულ ჰაერის ხარისხს და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას შეუწყობს იქ მცხოვრებ მოსახლეობაში. ამასთან, ნ.გაბრიაძის მიერ, ყურადღება გამახვილდა პროექტით გათვალისწინებული დაბა სურამის განვითარების ხედვებიდან ერთ-ერთ პუნქტზე: რკინიგზის ადგილზე საფეხმავლო ბულვარის მოწყობა. იგი მიიჩნევს, რომ არამხოლოდ ბულვარის მოწყობა იქნებოდა მნიშვნელოვანი ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე, არამედ უნდა მოხდეს რკინიგზის ხაზის აღდგენა რკინიგზის სადგურამდე, ე.წ. ტრამვაის სახით, რათა ქალაქს ემსახურებოდეს ეკო-მეგობრული ტრანსპორტი.

- **ხმაური**

ამ მიმართულებით პროექტი ითვალისწინებს შემარბილებელი ღონისძიებების სათანადოდ გატარებას, რაც ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკებს მინიმუმამდე ამცირებს, ამიტომ რეკომენდაციები ამ მიმართულებით არ გამოთქმულა.

- **დასაქმება**

ამ მიმართულებით დოკუმენტში ასახულია ძირითადი სტატისტიკური მონაცემები როგორც თვითდასაქმებულების ისე დასაქმებული ან/და უმუშევარი ადამიანების რიცხოვნობისა და საშუალო თვიური შემოსავლის შესახებ.

თუმცა, ნ.დედაბრიშვილის განმარტებით, დოკუმენტში ასახული უნდა იყოს სხვა დამატებითი მოსაზრებები, სავარაუდო გაანგარიშებები სურამის ფუნქციური დატვირთვის გადანაწილების მიზნით, მათ შორის ტურისტული სფეროს მომსახურებისა და სურამში მცხოვრებთათვის დასაქმების ადგილების მოწყობის, ახლომდებარე დასახლებული ადგილების განვითარებასთან დაკავშირებით.

კახეთის გზატკეცილი #99, თბილისი, 0198, საქართველო
ტელ: (+995 322 116 001); ელ.ფოსტა: ncdc@ncdc.ge; Web:www.ncdc.ge

- **საგანმანათლებლო დაწესებულებები**

საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართებაში, ნ.დედაბრიშვილის მხრიდან მთავარი აქცენტი გაკეთდა ბაიანთხევის ტერიტორიაზე სკოლის ასაშენებლად სახელმწიფო ან მუნიციპალური მიწის ნაკვეთის მოძიებასთან დაკავშირებულ საკითზე. მისივე თქმით, რადგან აღნიშნული ტერიტორია მჭიდროდ დასახლებულია, მნიშვნელოვანია დეტალურად იქნას შეფასებული მომავალში ამ ტერიტორიაზე სკოლის აშენების/არ აშენების სტატუსი, რადგან განათლების მიღების ხელმისაწვდომობა იყოს მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქ მცხოვრები მოსახლეობისათვის. რაც შეეხება საბავშვო ბაღებით უზრუნველყოფის საკითხს, წარმოდგენილ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ამ მხრივ საჭიროა საბავშვო ბაგა/ბაღების ინტენსიური მშენებლობა მთელი დაბის მასშტაბით. მნიშნველოვანი და დადებითად შესაფასებელია ის ფაქტი, რომ გენგეგმით განსაზღვრულია საბავშვო ბაღების სამშენებლოდ განკუთვნილი ტერიტორიების არეალები. თუმცა, მნიშნველოვანია, ინფორმაციის მოწოდება არსებული სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულებების მდგომარეობის და შესაბამისობის შესახებ მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტების მოთხოვნებთან, ნაკვეთებისა და ღია სპორტული მოედნების შესახებ, გარდა დეფიციტისა, რა საჭიროებებია გამოკვეთილი.

- **ნარჩენების მართვა**

ნარჩენების მართვასთან მიმართებაში ორი მიმართულებით გაკეთდა აქცენტები: ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება და საკანალიზაციო ნარჩენების მართვა და უტილიზაცია.

ქ. ზარიძის განმარტებით, დამგეგმავ ორგანოს მიეცემა რეკომენდაცია პროექტის განხორციელების ეტაპზე წარმოადგინოს ნარჩენების მართვის გეგმა, რომელშიც ასახული იქნება ნარჩენების მართვა/განკარგვის საკითხები, მათ შორის ტურისტული სეზონის დროს ნარჩენების მართვის გაძლიერებაზე დამატებითი კონტეინერების და გატანის ჯერადობის გაზრდით. მისივე თქმით, აუცილებელია ახალი საკანალიზაციო ინფრასტრუქტურის მოწყობა და განახლებული გამწმენდი ნაგებობების მონტაჟი, რომელზეც დამყარდება მონიტორინგი და შესაბამისი ღონისძიებები საკანალიზაციო ნარჩენი წყლების გაუვნებლობის მიზნით.

- **სასმელი წყლის ხარისხი და წყალმომარაგება**

კომისიის წევრების განმარტებით სასმელი წყლის საკითხი და ხელმისაწვდომობა უსაფრთხო წყალზე უმნიშვნელოვანესია, ყველა განაშენიანების პროექტისათვის, მათ შორის დაბა სურამის შემთხვევაშიც. ძირითადი საკითხი, რაზეც ნ.გაბრიაძის მხრიდან ყურადღება გამახვილდა სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების მონიტორინგის ეტაპზე დამგეგმავი ორგანოს საპასუხისმგებლო საკითხებზე: სასმელი წყლით მომარაგების სისტების გაფართოება, კმ/წელი; წყალანირების სისტემის გაფართოება, კმ/წელი. მისივე თქმით, ჯანდაცვითი ასპექტების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია შეფასდეს თუ მოსახლეობის რამდენ პროცენტს გაუმჯობესდა ხელმისაწვდომობა უსაფრთხო სასმელ წყალზე და ადექვატურ სანიტარიაზე და რამდენი ადამიანისთვის (ოჯახისთვის) გაუმჯობესდა სასმელი წყლით მომარაგების სისტემა და არა იმ მაჩვენებლებით რომელიც დოკუმენტის შესაბამისად უნდა გაიზომოს „კმ/წელი" - მაჩვენებლი. ასევე მიზანშეწონილია, შეფასდეს როგორია სასმელი წყლის ზეგავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, წყლის ფაქტორთან დაკავშირებული დაავადებების გავრცელების გამო და შესწავლილ იქნეს დაბა სურამის მოსახლეობის ხარისხიანი და უწყვეტი სასმელი წყალმომარაგებით უზრუნველყოფის არსებული საბაზისო დონე, დაიგეგმოს გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსი და გეგმის

ამოქმედების მონიტორინგის ინდიკატორები. მანვე აღნიშნა, რომ დოკუმენტი ნამდვილად მოიცავს ინფორმაციას სასმელი წყლის სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ, რომელიც გახლავთ ამონარიდი შესაბამისი კანონმდებლობიდან და არა კონკრეტულად დაბა სურამის შემთხვევაში დადგენილი სანიტარული დაცვის ზონები.

- **სანიტარული დაცვის ზონების დადგენა**

ნ. გაბრიაძემ აცნობა კომისიის წევრებს, რომ ცენტრის მიერ კვლავ უნდა გაიცეს რეკომენდაცია დაბა სურამის ტერიტორიის ფუნქციურ გადანაწილებამდე, საკურორტო ადგილისა და მინერალური წყლის საბადოს სანიტარიული დაცვის ზონების დადგენასთან დაკავშირებით, რომელიც განისაზღვრება „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. ასევე, „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 დადგენილების შესაბამისად, უნდა დადგინდეს წყალდაცვითი ზოლის ფარგლები (და არა სანიტარიული დაცვის ზონები) და მოქმედი აკრძალვები, ასევე წყლის ობიეტებში და წყალდაცვით ზოლებში მოქმედი სპეციალური მოთხოვნები.

- **სამედიცინო მომსახურება და სამედიცინო პუნქტის მოწყობა**

დოკუმენტის თანახმად დაბა სურამში ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი პოლიკლინიკა და გადაუდებელი სამედიცინო სამსახურის ცენტრები. კომისიის წევრის ლ.ბაიდოშვილის მიერ წამოიჭრა საკითხი, არასათანადო სამედიცინო დაწესებულების და მისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ დაბის ტურისტული პოტენციალიას განვითარება მოხდება და ტურისტების/ადგილობრივი მცხოვრებლების რიცხვი მოიმატებს, მიმართვიანობა ან/და სამედიცინო მომსახურების (კერძოდ ამბულატორიული მომსახურების) მიღების საჭიროება ადგილობრივ დონეზე აუცილებელი გახდება.

ლ.ბაიდოშვილის თქმით, სურამის ამჟამინდელი სამედიცინო დაწესებულება საჭიროებს ინფრასტრუქტურის განახლებას და არგუმენტის გასამყარებლად მოიყვანა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 თებერვლის N120 დადგენილება „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ", რომელიც საშუალებას იძლევა პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი გადაუდებელი სასწრაფო დახმარებისა და ამბულატორიული მომსახურების მიწოდების მიზნით, საჯარო შენობების მშენებლობის და რეაბილიტაციის პროექტები განხორციელდეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე. კომისიის წევრები დაეთახმნენ, რომ ცენტრის მიერ გაიცეს რეკომენდაცია პროექტში სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხების, კერძოდ კი სამედიცინო პუნქტის(დაწესებულების) მოწყობა/რეაბლიტაციასთან დაკავშირებით.

ამასთან, დოკუმენტში განხილულია რამდენიმე ალტერნატივა ფსიქიატრიული საავადმყოფოს ტერიტორიის სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენებასთან თუმცა, საუბარი არ არის მოქმედი ფსიქიატრიული საავადმყოფოს გადატანა სად იგეგმება ან რა პერიოდში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სათანადო პროცედურების და შესაძლო ალტერნატივების შეთანხმება მოხდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროთან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან.

კახეთის გზატკეცილი #99, თბილისი, 0198, საქართველო
ტელ: (+995 322 116 001); ელ.ფოსტა: ncdc@ncdc.ge; Web:www.ncdc.ge

სხდომის დასკვნა:

საექსპერტო კომისიამ დადებითად შეაფასა დაბა სურამის გენერალური გეგმისა და ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანარიში. გადაწყდა, რომ დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე გაიცემა შესაბამისი რეკომენდაციები ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკების შერბილება/შემცირების თვალსაზრისით კანონმდებლობით დადგენილი წესისა და ვადების გათვალისწინებით:

1. „მწვანე ქალაქის" და ენერგოეფექტური პრინციპების საბინაო სექტორში და სხვა შენობა ნაგებობების მშენებლობის პროცესში დანერგვა;

2. რკინიგზის ადგილზე საფეხმავლო ბულვარის მოწყობის გარდა, მოხდეს რკინიგზის ხაზის აღდგენა რკინიგზის სადგურამდე, ე.წ. ტრამვაის სახით, რათა ქალაქს ემსახურებოდეს ეკო-მეგობრული ტრანსპორტი.

3. პროექტის განხორციელების ეტაპზე, დამგეგმავმა ორგანომ წარმოადგინოს დაბა სურამის ნარჩენების მართვის გეგმა, რომელშიც ასახული იქნება ნარჩენების მართვა/განკარგვის საკითხები, მათ შორის ტურისტული სეზონის დროს ნარჩენების მართვის გაძლიერებაზე დამატებითი კონტეინერების და გატანის ჯერადობის გაზრდით.

4. დაიგეგმოს ახალი საკანალიზაციო ინფრასტრუქტურის მოწყობა და განახლებული გამწმენდი ნაგებობების მონტაჟი, რომელიც უზრუნველყოფს ჩამდინარე საკანალიზაციო წყლების სათანადო მართვას.

5. დეტალურად იქნას შეფასებული ბაინთხევის ტერიტორიაზე სკოლის აშენების/არ აშენების სტატუსი, რადგან განათლების მიღების ხელმისაწვდომობა იყოს მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქ მცხოვრები მოსახლეობისათვის.

6. შეფასდეს სასმელი წყლის ზეგავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, წყლის ფაქტორთან დაკავშირებული დაავადებების გავრცელების გამო და შესწავლილ იქნეს დაბა სურამის მოსახლეობის ხარისხიანი და უწყვეტი სასმელი წყალმომარაგებით უზრუნველყოფის არსებული საბაზისო დონე, დაიგეგმოს გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსი და გეგმის ამოქმედების მონიტორინგის ინდიკატორები.

7. შემუშავდეს და დამტკიცდეს დაბა სურამის საკურორტო ადგილისა და აქ არსებული მინერალური წყლის საბადოს სანიტარიული დაცვის ზონები.

8. შეფასდეს სამედიცინო დაწესებულებებზე და ჯანდაცვის ობიექტებზე ხელმისაწვდომობა, საჭიროების შემთხვევაში პროექტში გაიწეროს სათანადო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფის გეგმა.

9. ფსიქიატრიული სერვისების დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკის გათვალისწინებით, ფსიქიატრიული საავადმყოფოს გადატანასთან დაკავშირებული სათანადო პროცედურების და შესაძლო ალტერნატივების შეთანხმება მოხდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, ეკონომიკისა და

მდგრადი განვითარების სამინისტროთან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან.

10. პროექტის განხორციელების ეტაპზე და შემდეგომ, აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების გათვალისწინება.

ნანა გაბრიაძე - დკსჯეც, გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე) /ნ.გაბრიაძე/

თამარ ქაშიბაძე - გარემოს ჯანმთელობის დეპარტამენტი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (კომისიის მდივანი) /თ.ქაშიბაძე/

თარიღი: 13 ნოემბერი, 2020 წელი.